ა(ა)იპ „საზოგადოება ივერიისა“-ს თავმჯდომარის 2021 წლის ანგარიში

2010 წლიდან დღემდე მახათას მთაზე ღვთისმშობლის სავანის პროექტისთვის შემოწირულობა გაიღო 76,000 ადამიანმა. მათ მიერ მოხსენიებული ცოცხალი და გარდაცვლილი ადამიანების საერთო რაოდენობა კი 1,125,000-ია. თითოეული მათგანი, პატრიარქის კურთხევით, ტაძრის აღმშენებლად-ქტიტორად მოიხსენიება. ინფორმაცია აღმშენებლების შესახებ განთავსებულია ჩვენს ვებ გვერდზე: www.iveriisa.ge .

2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით შემოწირული თანხის ოდენობამ შეადგინა **871,583** ლარი. სულ 2010-2021 წლებში **25,957,840** ლარია შემოსული. აქედან დაახლოებით 10% დაიხარჯა ადმინისტრაციულ ხარჯებსა და საინფორმაციო მხარდაჭერაზე, ძირითადი თანხა კი მშენებლობას, საგანმანათლებლო და საინფორმაციო უზრუნველყოფას მოხმარდა. აღსანიშნავია, რომ წინა წლებთან შედარებით მნიშვნელონად არის შემცირებული შემოწირული თანხების ოდენობა, თუკი საშუალო თვიური შემოსავლების დინამიკა პირველ წლებში შეადგენდა დაახლოებით 250,000 ლარს, 2021 წელს ეს რიცხვი იყო 72,635 ლარი.

2021 წელს შემოწირული თანხიდან (**871,583** ლარი) სულ დაიხარჯა **344,569** ლარი, რაც მოხმარდა ისეთ საჭიროებებს, როგორიცაა: ტაძრის მშენებლობა/კეთილმოწყობისა და ფუნქციონირების მიმდინარე ხარჯები (ტაძრის ეზოს შემოღობვა, ღვთისმსახურებისათვის საჭირო ნივთების დამზადება-შეძენა, კომუნალური ხარჯები, მათ შორის ელექტროენერგიისა და წყლის; დაცვის სამსახურის, ტაძრის პერსონალის ხელფასი), ასევე საგანმანათლებლო ხარჯები და სხვ.

სულ 2010 – 2021 წლებში დახარჯულია **25,229,727** ლარი. ამჟამად ანგარიშზე არის **728,113** ლარი.

დაწყებული 2012 წლიდან ყოველწლიურად კეთდება ჩვენი შემოსავლებისა და ხარჯების აუდიტი. ჩვენს ვებ გვერდზე შეგიძლიათ იხილოთ 2016-2021 წლების აუდირებული ფინანსური უწყისები.

ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარი მახათას მთაზე, 2019 წლის 12 მაისი

სამშენებლო სამუშაოები

სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია II ის ლოცვა-კურთხევით, მახათას მთაზე დაიწყო ღვთისმშობლის სავანის კომპლექსის მშენებლობის მეორე ეტაპი, რაც ითვალისწინებს, მონასტრისა და ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე, თანამედროვე და უმაღლესი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, სამეცნიერო-კვლევითი და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრ- მუზეუმის მშენებლობას.

გლობალური პანდემიით შექმნილი პრობლემების მიუხედავად, მახათას მთაზე მშენებარე ღვთისმშობლის სავანის კომპლექსში სამუშაოები არ შეჩერებულა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით დასრულდა მუშაობა მღვდელთმსახურთა სახლის პროექტზე;

მღვდელთმსახურთა სახლის პროექტი

სამონასტრო კომპლექსის მთლიანი ტერიტორიის შემოღობისთვის შეძენილ იქნა ლითონის ბადე და ბოძები. დაიწყო სამუშაოები, რომელიც 2022 წელს დამთავრდება.

ღვთისმშობლის ტაძრის შემოღობვის სამუშაოები. 2021 წელი

ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარი მახათას მთაზე

სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე დამონტაჟდა სავენტილაციო არხების ჩამკეტი ცხაურები.

შეხვედრები საზოგადოებასთან

გლობალური პანდემიიდან გამომდინარე, 2021 წელს „საზოგადოება ივერიისა“-ს მიერ დაგეგმილი აქტიობები შეიცვალა. ოფისმა მუშაობა ონლაინ რეჟიმში გააგრძელა. მახათას მთაზე ღვთისმშობლის სავანის კომპლექსის მშენებელობის პროექტში ჩართულ ორგანიზაციებთან და ფიზიკურ პირებთან კომუნიკაცია ონლაინ რეჟიმში მიმდინარეობდა.

ონლაინ შეხვედრა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის თანამშრომლებთან

ასევე, სისტემატიურად ივსება და რედაქტირდება ღვთისმშობლის სავანის აღმშენებელთა ბაზა.

საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა არქიტექტურული ნაწარმოებისთვის „ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარი“ - ტაძრის არქიტექტორი ომარ ნაფეტვარიძე და მხატვარ-მოქანდაკე გია ჯაფარიძე შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული პრემიით დააჯილდოვა.

მხატვარ-მოქანდაკე - გია ჯაფარიძე; საქართველოს პრეზიდენტი- სალომე ზურაბიშვილი; მთავარი არქიტექტორი- ომარ ნაფეტვარიძე

მრევლთან მუშაობა

„საზოგადოება ივერიისა“-ს მიერ შედგენილი გრაფიკის მიხედვით, მშენებლობის ლოცვითი შეწევნის მიზნით, მცხეთა-თბილისის ეპარქიის სამღვდელოებისა და მრევლის მონაწილეობით, ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარში ყოველდღიურად აღევლინება საღმრთო ლიტურგია კოვიდ რეგულაციების გათვალისწინებით.

ჯვართამაღლების ტაძრის წინამძღვარი - დეკანოზი თეოდორე გიგნაძე თანამწირველ სასულიერო პირებთან და ტაძრის მრევლთან ერთად

2021 წლის 4 მაისს, ბრწყინვალე შვიდეულში, სამშაბათს, ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის დღესასწაულზე, მახათას მთაზე ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარში, ჭიათურისა და საჩხერის ეპაქიის მიტროპოლიტმა მეუფე დანიელმა, სამღვდელოებასთან ერთად, წირვა-ლოცვა აღავლინა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე თავის ქადაგებებში ხშირად აღნიშნავს, რომ „ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი არის განსაკუთრებული მფარველლი საქართველოსი. მას არაერთხელ გადაურჩენია საქართველო დაცემისგან“. სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიაქის ქადაგება, მახათას მთა (9.10.2018 წ).

ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის დღესასწაული , მახათას მთაზე (5.05.2021 წ).

2021 წლის 12 მაისს ღვთისმშობლის წილხვდომილობისა და ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღეს, მახათას მთაზე ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის მშენებარე ტაძარში წირვა აღავლინა -საპატრიარქოს ტახტის მოსაყდრემ, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტმა მეუფე შიომ და ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტმა მეუფე დანიელმა.

2019 წლის 12 მაისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა აკურთხა ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარი. ტაძრის კურთხევიდან სამი წელი გავიდა.

წირვა-ლოცვა, მახათას მთაზე . 12.05.2021 წელი

ქტიტორი - მერაბ კოკოჩაშვილი 12.05.2021 წელი

ღვთისმშობლის სავანე მახათას მთაზე
ავტორი: ომარ ნაფეტვარიძე